საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გეწაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე მაჭარაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი - ადვოკატი დ. ც. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 28.10.2021

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 074/21

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. მ.-ს /სიითი №2/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორი პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2021 წლის 28 ოქტომბერს საჩივრით მომართა ადვოკატმა დ. ც.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. მ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. ადვოკატი დ. ც. დაესწრო 2022 წლის 01 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2021 წლის 13 მაისს ადვოკატმა ნ. მ.-მა საჩივარი წარმოადგინა ეთიკის კომისიაში, ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ. ადვოკატ დ. ც.-ის განცხადებით, საჩივარსა და ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა ნ. მ.-მა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა მას. კერძოდ, ადვოკატი ნ. მ. საჩივარში აღნიშნავდა, რომ „დ. ც.-ის განცხადება ყოველგვარ ზღვარს გადავიდა“; „ასეთი არაპროფესიული მიდგომა საქმისათვის არის მისი მახასიათებელი“. საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. მ.-მა უწოდა „შეურაცხადი პიროვნება“ და „გაუწონასწორებელი ადამიანი.“

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ნ. მ.-მა ეთიკის კომისიას განუცხადა, რომ „დ. ც. ნასამართლევია მეზობელზე ძალადობაში."

1.4 საჩივრის ავტორმა 2022 წლის 01 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე განმარტა, რომ ადვოკატ ნ. მ.-ს მიერ, მის მიმართ სიტყვა „შეურაცხადის" გამოყენება არის შეურაცხმყოფელი და წარმოადგენს მისი ჯანმრთელობის შესახებ ცრუ ინფორმაციას, ხოლო მისი ნასამართლობის შესახებ პერსონალური ინფორმაციის გავრცელება ცდება ყოველგვარ ეთიკურ სტანდარტს.

1.5 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატმა ნ. მ.-მა დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი, ითხოვს მის დისციპლინირებას, კონკრეტულად საქმიანობის უფლების შეჩერებას. ადვოკატი მიიჩნევს, რომ ნ. მ.-ს მიმართ სხვა სახდელის გამოყენება დისციპლინირების მიზანს ვერ მიაღწევს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 2021 წლის 08 ნოემბერს ადვოკატმა ნ. მ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება და მიუთითა, რომ მის მიერ ადვოკატ დ. ც.-ის ქმედებების შეფასება არ ყოფილა არაეთიკური. შესაბამისად, საჩივარი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს. ადვოკატი ნ. მ. დაესწრო 2022 წლის 08 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა-განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მისი მეუღლე 2020 წლის 09 აგვისტოს დააკავეს მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის ტარების ბრალდებით. ის, როგორც ადვოკატი, იცავდა მეუღლის ინტერესებს და 2021 წლის 29 აპრილს სასამართლომ მიიღო გამამართლებელი განაჩენი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ამ საქმეში, დაზარალებულის ადვოკატი დ. ც., მისი მეუღლის დაკავების დღიდან არღვევდა უდანაშაულობის პრეზუმციას მისი მეუღლის მიმართ, განზრახ ავრცელებდა ცრუ და შეურაცხმყოფელ ინფორმაციას.

2.4 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორი მას შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი ფრაზებით მოიხსენიებდა საჯარო სივრცეში, მათ შორის სოციალურ ქსელებში.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მისი სიტყვები წარმოადგენს მხოლოდ საჩივრის ავტორის ქმედებების შეფასებას, რაც სავსებით ეთიკურია და არ არღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკით დადგენილ სტანდარტს. ადვოკატ ნ. მ.-ს განცხადებით, მის მიერ საჩივრის ავტორის ქმედებების შეფასება არ გავრცელებულა საჯაროდ. აღნიშნული შეფასება გავრცელდა 2021 წლის 13 მაისის საჩივრის ფარგლებში, კონფიდენციალურობის პრინციპით დაცულ საქმისწარმოების პროცესში.

2.6 განხილვის კოლეგიის 2022 წლის 20 ივნისის სხდომაზე ადვოკატმა დამატებით განმარტა, რომ ადვოკატს ბოდიშს არ მოუხდის, რადგან თავად არის შეურაცხყოფილი ადვოკატ დ. ც.-ის საქციელით და ასევე, თავად ადვოკატს, მისთვის ბოდიში არ მოუხდია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2022 წლის 09 თებერვლის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის მესამე საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. მ.-ს მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, საქმისწარმოების საპროცესო ეტაპზე დადგინდა, რომ 2021 წლის 13 მაისის საჩივარსა და თავის ზეპირ პოზიციაში ადვოკატმა ნ. მ.-მა ადვოკატ

დ. ც.-ის მიმართ გამოიყენა შემდეგი ფრაზები: „შეურაცხადი პიროვნება“, „გაუწონასწორებელი ადამიანი“, „დ. ც. ნასამართლევია მეზობელზე ძალადობაში“, „დ. ც.-ის განცხადება ყოველგვარ ზღვარს გადავიდა“; „ასეთი არაპროფესიული მიდგომა საქმისათვის არის მისი მახასიათებელი.“ შესაბამისად, ადვოკატ ნ. მ.-ს მიერ შესაძლოა დარღვეული იყოს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 და 10.1 მუხლები.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 უდავო ფაქტები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ეთიკის კომისიაში, 2021 წლის 13 მაისის N029/21 საქმისწარმოების ფარგლებში, ადვოკატმა ნ. მ.-მა ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ წარდგენილ საჩივარში გამოიყენა ფრაზეოლოგია: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ ნასამართლევია მეზობელზე ძალადობაში“; „დ. ც.-ის თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გადავიდა“; „ასეთი არაპროფესიული მიდგომა საქმისათვის არის მისი მახასიათებელი“; „აღნიშნული პიროვნება არის შეურაცხადი და შეუძლებელია მსგავს გაუწონასწორებელ ადამიანს ადვოკატის სტატუსი ჰქონდეს“.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

დისციპლინური საქმე N029/21;

4.1.2 დისციპლინურ საქმეში N029/21 დადგინდა ადვოკატ დ. ც.-ის გადაცდომა და მას დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები;

4.1.3 მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა - ადვოკატმა ნ. მ.-მა ადვოკატ დ. ც.-ს ბოდიში არ მოუხადა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებს:

განხილვის კოლეგიის 2022 წლის 20 ივნისის სხდომის ოქმი.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. მ.-ს მიერ არ არის ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ.-ს არ დაურღვევია შემდეგი ნორმები:

6.1.1 „ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).

6.1.2 „ადვოკატი ვალდებულია პატივის სცეს თავის კოლეგას“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი; მუხლი 10.1).

6.2 საქართველოს კონსტიტუციის მე-19.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს სიტყვის...თავისუფლება“, ხოლო 24.1 მუხლის მიხედვით „ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით“. აღნიშნული უფლება არ არის აბსოლუტური და მე-19.3 და 24.4 მუხლების მიხედვით შეიძლება შეიზღუდოს, თუ ის ლახავს სხვათა უფლებებს. შესაბამისად, ადვოკატებს უფლება აქვთ ისარგებლონ ამ უფლებით და გამოთქვან აზრი, თუმცა მათ უნდა დაიცვან სხვათა ღირსება და არ შეზღუდონ სხვათა უფლებები.

6.3 ადვოკატის როლის შესახებ გაეროს ძირითადი პრინციპების 23-ე მუხლის თანახმად, ,,ადვოკატები, სხვა მოქალაქეების მსგავსად, სარგებლობენ აზრის გამოხატვის, რწმენის, გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებით. მათ უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ დისკუსიებში, რომლებიც დაკავშირებულია იურიდიულ, მართლმსაჯულების განხორციელების, ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის საკითხებთან .....ამ უფლების რეალიზაციისას, ადვოკატებმა უნდა იმოქმედონ კანონის, იურიდიული პროფესიისა და ეთიკის აღიარებული ნორმების შესაბამისად.“

6.4 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქე იური ვაზაგაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე№11/6/561,568; 2016 წლის 30 სექტემბერის გადაწყვეტილება) განმარტა, რომ „თავისუფალი სიტყვა იმით ფასობს, ანუ სწორედ იმაში გამოიხატება სიტყვის თავისუფლება, რომ ის მოიცავს არა მხოლოდ ისეთ მოსაზრებებს თუ გამონათქვამებს, რომლებიც ყველასათვის მისაღებია, დადებითად აღიქმება, მთლიანად საზოგადოების ან თუნდაც მისი დიდი ნაწილის, უმრავლესობის აზრს და გემოვნებას ეხმიანება, არ ითვლება საჩოთიროდ, არამედ მოიცავს ისეთ იდეებს, აზრებს თუ გამონათქვამებსაც, რომლებიც მიუღებელია ხელისუფლებისთვის, საზოგადოების ნაწილისთვის თუ ცალკეული ადამიანებისთვის, შოკის მომგვრელია, რომელმაც შეიძლება აღაშფოთოს საზოგადოება, ადამიანები, წყენაც კი მიაყენოს მათ, გამოიწვიოს საზოგადოებაში ვნებათა ღელვა, ასევე იგი მოიცავს კრიტიკას და სარკაზმსაც. ასეთია ტოლერანტობის, პლურალიზმის, შემწყნარებლობის მოთხოვნები, რომლებიც დემოკრატიის საზრდოობისთვის შეუცვლელი წყაროა“.

6.5 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიამ 2006 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილებაში, საქმეში №2317/12/06 აღნიშნა, რომ: ,,ადვოკატებს აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში და მათ მიერ გაკეთებული განცხადებები და კრიტიკული გამონათქვამები არ უნდა გახდეს მათ წინააღმდეგ დევნის დაწყების საფუძველი“.

6.6 „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არ არის აბსოლუტური ხასიათის და ის შეიძლება შეიზღუდოს დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონიერი მიზნების მისაღწევად - სხვათა ღირსების და პატივისცემის ვალდებულების დასაცავად. ამასთან, აღნიშნული უფლება

შეიძლება შეიზღუდოს იმ ლეგიტიმური მიზნით, რაც დაკავშირებულია ადვოკატის პროფესიის რეპუტაციასთან და საერთო კორპორატიულ ინტერესებთან. შეზღუდვა უნდა განხორციელდეს გამონათქვამის შეფასებით - მისი შინაარსის, ფორმისა და კონტექსტის გათვალისწინებით“ (ეთიკის კომისიის 30.01.2019 წლის გადაწყვეტილება, საქმეზე №098/18).

6.7 კოლეგიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ნ. მ.-მა ადვოკატი დ. ც.-ის მიმართ გამოიყენა ფრაზეოლოგია: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ ნასამართლევია მეზობელზე ძალადობაში“; „დ. ც.-ის თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გადავიდა“ და „ასეთი არაპროფესიული მიდგომა საქმისათვის არის მისი მახასიათებელი“; „აღნიშნული პიროვნა არის შეურაცხადი და შეუძლებელია მსგავს გაუწონასწორებელ ადამიანს ადვოკატის სტატუსი ჰქონდეს“ (პარ. 4.1.1). კოლეგიის მიერ გამოსაკვლევია, აღნიშნული ფრაზეოლოგიით ადვოკატმა ნ. მ.-მა შელახა თუ არა ადვოკატ დ. ც.-ის ღირსება და გამოიჩინა თუ არა მის მიმართ უპატივცემულობა.

6.8 კოლეგია ყურადღებას ამახვილებს ფაქტზე, რომ ადვოკატმა ნ. მ.-მა ფრაზეოლოგია გამოიყენა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ საჩივარში. ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 3.1 მუხლით, ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის და დისციპლინური კოლეგიების სხდომები დახურული; შესაბამისად, ადვოკატ ნ. მ.-ს სადავო ქცევა, არ გამხდარა საჯარო.

6.9 კოლეგიამ შეაფასა ადვოკატ ნ. მ.-ის მიერ დაწერილი ფრაზა: „მე მაქვს ინფორმაცია, რომ ასევე ნასამართლევია მეზობელზე ძალადობაში“; აღნიშნული ფრაზის მთლიანი კონტექსტი შემდეგია: „ის არის ყოფილი პილიციის თანამშრომელი და მე მაქვს ინფორმაცია, რომ ასევე ნასამართლევია მეზობელზე ძალადობაში და ამის გამო გაათავისუფლეს სამსახურიდან, მიუხედავად ამისა მე ეს ინფორმაცია ჩემი პროფესიული შეგნებიდან, არ გამოვუქვეყნე იმის პასუხად რასაც თქვენ დანართში ნახავთ ჩემი და ჩემი მეუღლის შეურაცხყოფებს და პირადში მივუთითე, რომ ასეთი წარსულის ადამიანს და მითუმეტეს ადვოკატის სტატუსის მატარებელს მსგავსი განცხადების გაკეთების უფლება არ ჰქონდა, თუმცა მისი პასუხები იყო ზღვარგადასული უზრდელობის და არაპროფესიონალიზმის ნიმუში“. ადვოკატ ნ. მ.-ს მიერ, ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ საჩივარში, ამ კონკრეტული ფრაზის გამოყენებას ჰქონდა მიზანი, რომ საქმის განმხილველ კოლეგიას დაენახა ნ. მ. სწორი გამოხატვის ფორმა კოლეგა ადვოკატის დ. ც.-ის მიმართ, რათა ეს დახმარებოდათ გადაწყვეტილების მიღებაში ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ. ნ. მ.-მა ეს ინფორმაცია მიუთითა თავის კონფიდენციალურ საჩივარში, სადაც მიზნად ისახავდა კოლეგის ქცევის შეფასებას და არა მის შეურაცხყოფას. კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული ფრაზით, ადვოკატ ნ. მ.-ს არ დაურღვევია კოლეგიალობის ვალდებულება ადვოკატ დ. ც.-ის მიმართ.

6.10 კოლეგიამ შეაფასა სადავო ფრაზეოლოგია: „დ. ც.-ის თავხედობა ყოველგვარ ზღვარს გადავიდა“; „ასეთი არაპროფესიული მიდგომა საქმისათვის არის მისი მახასიათებელი“; კოლეგიას მიაჩნია, რომ აღნიშნული ფრაზეოლოგიით ადვოკატი ნ. მ. აფასებს ადვოკატ დ. ც.-ის ქცევას მისი მისამართით, ეს წარმოადგენს მის აზრს მისივე საჩივრის გასამყარებლად, კოლეგის მძაფრ კრიტიკას და არ სცდება აზრის გამოხატვის ფარგლებს.

6.11 კოლეგიამ შეაფასა სადავო ფრაზეოლოგია: „აღნიშნული პიროვნება არის შეურაცხადი და შეუძლებელია მსგავს გაუწონასწორებელ ადამიანს ადვოკატის სტატუსი ჰქონდეს“.

კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ნ. მ.-ს მიერ დაწერილი ფრაზეოლოგიიდან, აღნიშნული ფრაზა არის ყველაზე მძაფრი და არ გამოიქცეოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში, რომ არა გარემოება, რომ ეს ადვოკატმა მიუთითა თავის კონფიდენციალურ საჩივარში (და არა საჯაროდ), მის მიმართ კოლეგის მიერ გამოხატული უხამსი ფორმის პასუხად, რისთვის მოპასუხე ადვოკატს ეთიკის კომისიის მიერ დაეკისრა დისციპლინური ზემოქმედების ფორმა - კერძო სარეკომენდაციო ბარათი. ფრაზა წარმოთქმულია ადვოკატ დ. ც.-ის მისამართით, უარყოფით კონტექტსში, თუმცა შეფასებითია - ადვოკატი ნ. მ. აფასებს კოლეგის ქცევას მისი მისამართით.

6.12 განხილვის კოლეგიამ შეაფასა მხარეთა მიერ ეთიკის კომისიისათვის წარმოდგენილი მტკიცებულებები, წერილობითი და ზეპირსიტყვიერი ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. მ.-ს არ დაურღვევია „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 7 და 10.1 მუხლით დადგენილი კოლეგიალობის ეთიკური ვალდებულება.

6.13 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 3.2, 5.7, 19, 20, 40.2 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე N074/21 ადვოკატ ნ. მ.-ს მიმართ /სიითი №/ არ დაეკისროს დისციპლინური პასუხისმგებლობა.
2. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება გაეგზავნოს მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებაზე უარის თქმის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/